საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავითაია გურამ შალვას ძე

დავითაია გურამ შალვას ძე (დ. 20. IX. 1939, ხონი), ბავშვთა ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1992). 1966 დაამთავრა თსსი-ის პედიატრიის ფაკ-ტი; 1969 – სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1966–69 იყო ყაზახეთის სსრ-ში ცელინოგრადის ოლქის, მაკინსკის რ-ნის მთ. ექიმის მოადგილე; 1969– 74 – თსსი-ის ბავშვთა ქირურგიის კათედრის თანამშრომელი, 1989– 92 – თსსი-ის სასწ.-მეთოდური განყ-ბის გამგე, 1991-იდან – ბავშვთა ქირურგ. კათედრის პროფესორი, 2005–06 – თსსუ-ის პედიატრიული ფაკ-ტის დეკანი. ამჟამად მიმართულების ასოცირებული პროფესორია. დ-ს სამეცნ. შრომები ეხება ბავშვთა ქირურგ. აქტუალურ საკითხებს.

დ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი (მ. შ. 16 სასწ. და მეთოდური სახელმძღვანელო, 7 რაციონალური წინადადება და 1 გამოგონება).